ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4644559

ნომერი: AR1702410

თარიღი : 20.08.2019

გაცემის თარიღი : 26.08.2019

გაცნობის თარიღი : 26.08.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ქობულია პ/ნ 01011009903
- თბილისი. გუდაურის ქ. 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 მაისის №4499241 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 20 აგვისტოს №AR1702410 განცხადებით მომართა ლაშა ქობულიამ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 15 მაისის

№4499241 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 15 მაისის №4499241 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – წყნეთი, დაბა წყნეთი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა №1-ში, შპს "ლაქი ინვესტმენტ"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.20.01.069.005), პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზიის არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2019 წლის 22 მაისის №4510800 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 22 მაისიდან 2019 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 მაისის № 4499241 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ: განმცხადებელი ითხოვს ზემოაღნიშნული ბრძანებიდან სასაწყობე ფართობის 38,7 კვ.მ-ის ამოღებას და შესაბამისად, საერთო ფართობად 255.3კვ.მ-ის ნაცვლად 216.6კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმებზე სასაწყობე ფართი დაფიქსირებული არ არის და იგი არასწორად იქნა ასახული სამსახურის 2019 წლის 15 მაისის №4499241 ბრძანებაში.
აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ამოიღოს სასაწყობე ფართობი 2019 წლის 15 მაისის №4499241 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან. სამსახურმა ასევე, დაადგინა, რომ სასაწყობე ფართობის ამოღება იწვევს საერთო ფართობის ცვლილებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 მაისის №4499241 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 მაისის №4499241 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას სასაწყობე ფართობი 38.7 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად დაფიქსირდეს 216.6 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 მაისის №4499241 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 მაისის №4499241 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.